პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სარკინიგზო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 22.01.2003, მუხ. 25) შეტანილ იქმნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-2 მუხლის „ჰ³" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჰ³) „სარკინიგზო ლიანდაგი" – წყვილი რელსი, რომელზედაც მოძრაობს მატარებელი;

2. **მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ⁴¹" ქვეპუნქტი:**

,,ჰ⁴¹) მაგისტრალური სარკინიგზო ლიანდაგი - სარკინიგზო ლიანდაგი, რომელიც განკუთვნილია სასაზღვრო სარკინიგზო გადასასვლელებს, რკინიგზის სადგურებს ან/და საზღვაო ნავსადგურებს შორის ტვირთის გადაზიდვისთვის ან/და მგზავრთა გადაყვანისთვის."

3. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 ნაწილები:**

,,4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული მოქმედი მაგისტრალური სარკინიგზო ლიანდაგის და მისი დამცავი ზონის გასხვისება დაუშვებელია, გარდა შესაბამისი ქონების სახელმწიფოს 50% -ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში შეტანისა.

5. მოქმედი მაგისტრალური სარკინიგზო ლიანდაგისა და მისი დამცავი ზონის ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა."

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს მოქმედი მაგისტრალური სარკინიგზო ლიანდაგისა და მისი დამცავი ზონის ნუსხის დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**